



ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

12 ლექსიანი
საუბრა
2024 წელი
№50 (9364)
ფასი 40 თეთრი

სამი ტამ აკლია დედამიწას: ზღვას - ხიდი, ცას - კიბე, ადამიანს - სამართალი! კარგად დაიმახსოვრა ეს შეგონება აღაიიანო!

ბაღნიერი პირი?!

ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერთი? მძიმე ყალბით, ლამაზ ფაღვლით მორთული და მშვენიერი; უწყინარი, უჩივარი, ქედრეკილი, მაღლიერი; უმფოთველი, ქვემდრომელი, რიგიანი, წესიერი; ყოვლად მთმენი, ვით ჯორ-ცხენი, ნახედნი და ღონიერი. ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერთი? ყველა უწყვი, ყველა მუნჯი, გულჩვილი და ღმობიერი; თვალაბმული, თავაკრული, პირს ლაგამი ზომიერი; ყველა ყრუი, ყველა ცრუი, ყველადამჯდარი, გულხმიერი;

მცირე, დიდი - ყველა ფლიდი, ცულოუტი და მანკიერი. ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერთი? მტვერნაყრილი, თავდახრილი, ყოვლად უქმი, უდიერი; უზღუდონი, გზამრუდონი. არგამტანი და ცბიერი, მტრის არმცნობი, მოყვრის მგობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი; არის მქონე, არის მცოდნე, უზრუნველი და მშვიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერთი?

ილია ჭავჭავაძე
29 აგვისტო, 1871 წელს.

სოსიალური პროგრამები - ბენეფიციარებს


ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოსიალური პროგრამების ფარგლებში, ნოემბერში 1 223 ბენეფიციარს 308 529 ლარის დახმარება გაენი. მათ შორის:

- 226 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 169 912 ლარი გამოიყო;
- 117 ბენეფიციარი მედიკამენტების შესაძენად 21 315 ლარით დაფინანსდა;
- ონკოლოგიური დაავადებების მქონე 34 პაციენტი 25 862 ლარით დაფინანსდა;
- 109 მრავალშვილიანი ოჯახი 26 350 ლარით დაფინანსდა;
- 313 ოჯახი კომუნალური გადასახადებისათვის 11 700 ლარით დაფინანსდა;
- 100 წელს გადაცილებულ 2 მოქალაქეს 200-200 ლარი ჩაერიცხა;

ასევე, სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება, რომელთა მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესებაა.

ინფრასტრუქტურული პროექტები დათმავრების ფაზაშია

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ მოქალაქეების მიერ ინიცირებული მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი უკვე დაასრულა, ნაწილის რეაბილირაცია კი მიმდინარეობს. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანეთში, ე.წ. გუჯარეთის ხეობასა და თორში, სადაც მოსახლეობა სეზონურად მესაქონლეობას მისდევს, მზის პანელის 10 ელექტროსადგური დამონტაჟდა. მზის პანელის სიმძლავრე საკმარისია ერთდროულად რამდენიმე საყოფაცხოვრებო ტექნიკის ჩასართავად. დაბა ახალდაბაში კიბეების რეაბილიტაცია დასრულდა. ბორჯომში, ხანძთელის №30-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.



სამ სოფელში ეწყობა გარე განათების სისტემა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელი მოეწყობა ახალ უბანში, ხორავას ქუჩაზე და დაბა ნალვერში.



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ მოქალაქეების მიერ ინიცირებული მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი უკვე დაასრულა, ნაწილის რეაბილირაცია კი მიმდინარეობს. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანეთში, ე.წ. გუჯარეთის

ხეობასა და თორში, სადაც მოსახლეობა სეზონურად მესაქონლეობას მისდევს, მზის პანელის 10 ელექტროსადგური დამონტაჟდა. მზის პანელის სიმძლავრე საკმარისია ერთდროულად რამდენიმე საყოფაცხოვრებო ტექნიკის ჩასართავად. დაბა ახალდაბაში კიბეების რეაბილიტაცია დასრულდა. ბორჯომში, ხანძთელის №30-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამ სოფელში ეწყობა გარე განათების სისტემა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელი მოეწყობა ახალ უბანში, ხორავას ქუჩაზე და დაბა ნალვერში.

ბორჯომში, ხანძთელის №30-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამ სოფელში ეწყობა გარე განათების სისტემა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელი მოეწყობა ახალ უბანში, ხორავას ქუჩაზე და დაბა ნალვერში.

მკითხველის აზრი

ქალა და მაღლი უფლიდან მოედინება!

ცივილიზაციათა ცვლის კანონზომიერებები იმართება კაცობრიობის დამაარსებელი უხილავი გონით. საუკუნეების მიერ ამინდებიც ისეთივე ცვალებადია, როგორც კალენდრულად ყოველდღიური. ისტორიულ ასპარეზზე რჩებიან და არსებობას აგრძელებენ ის ერები, რომელთაც აქვთ ძლიერი კულტურული და გენეტიკური კოდი, რისი სტრატეგიულობის განსაზღვრაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია.



საუკუნოვანი ინერცია თავისუფლებისკენ და არა დამპყრობლობისკენ და დაცვას ღვთის ბოძებული სამოთხე, თავისი გეოგრაფიული და მისტიური არიალით. - ეს არის ჩვენი იარაღი ყოფნა-არყოფნის ასპარეზზე. სახელმწიფოებრივი აზროვნების ინსპირაციას უნდა წარმოადგენდეს კულტურული და გენეტიკური კოდის უსაფრთხოება. ძალა და მაღლი, რომელიც წმინდა ნინოს ჯვრიდან გადმოედინება, აძლიერებს ჩვენს კულტურულ და გენეტიკურ კოდს.

ქართული მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი სულიერი კულტურა ქმნის უძლიერეს კულტურულ-გენეტიკურ-ეროვნულ კოდს!!! ჩვენი ქვეყნის თითოეული მოსახლის უპირველესი შინაგან ვალდებულებას უნდა წარმოადგენდეს დაცვას ჩვენი კოდური იდენტობა: საუკუნოვანი მართლმადიდებლური სარწმუნოება; საუკუნოვანი მშობლიური ენა;

ქალა და მაღლი, რომელიც წმ. გიორგის სალოცავებიდან მოედინება, აძლიერებს ჩვენს კულტურულ და გენეტიკურ კოდს. ძალა და მაღლი, რომელიც გვიცავს ღვთისმშობლის ნილხვედრობიდან გამომდინარე, აძლიერებს ჩვენს კულტურულ და გენეტიკურ კოდს. დედამ უკეთესად იცის შვილის კეთილდღეობის არსი. ნინო სოჰიაკი-ლოშიაძე

შენი გზარი არ ვარ!

მე, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი ვარ! და თქვენ წარმიიდგინეთ, არ მრცხვენია ამის! რას არ გვინდობენ ამ ბოლო დღეებში: ბნელებს, ფანატიკოსებს, მშობრებს! ასეთი ვინრო თუ იყო ქართული აზროვნების დიპაზონი, ნამდვილად არ ვიცოდი. ლოზუნგებსა და გარკვეულ სიტყვებში რომ გამოვეცეტე ქართველებმა ერთმანეთი, პაერი არ გეცოტავებათ აზროვნების დილეგებში: მშვიდობა, ეს უპირველესი სათნოება მხოლოდ საქართველოში ნიშნავს - ქოცობას. ევროპის გამო, თუ ტანისამოსს არ იხვესხეულზე - რუსოფილი სარ! როგორ შეიძლება თავმოყვარე ქართველს, რუსეთისკენ ეჭიროს თვალი. ერთმანეთის სიყვარულზე საუბრობ; მშობრად გაცხადებენ! ღმერთის დიდებაზე იტყვი და იმ წუთას იმ ანგარ მღვდლებს შეგახსენებენ, ვაჭრობის რომ არ ეშინიათ ღვთის სახლში. არავინ დაკეტავს სკოლას იმის გამო თუ იქ რამდენიმე უცივი პედაგოგი მოღვაწეობს. არც საავადმყოფოს დაკლდება რამდენიმე არაპროფესიონალი ექიმის გამო.

ეკლესიას ვერ დააცინებს ზოგიერთი მღვდელის უღირსი საქციელი. ძალიან გაჭირდა დღეს ადამიანობაცა და ქართველობაც. ყველაფერი განვივთა და დაკინდა. ვცდილობ, გადავრჩე ეკლესიაში. ჩემი ნიადაგი ქრისტეა, ჩემი სულის ნატვრა ცხოვნება. ვილაცისათვის ევროპაა ხსნა, ვილაცისათვის სულის ამაღლება. ერთი მეორეს ხელს რატომ უნდა უშლიდეს!? გავითვალისწინოთ ერთმანეთის აზრები! მე თუ შენაირად არ ვაზროვნებ, - შენი მტერი არ ვარ! იმ ღმერთზე ვსაუბრობ, ყოვლისმემძლე-სა და ყოვლისდამნახველზე, დავით აღმაშენებელს შეუძლებელი რომ შეაძლებინა, დემეტრეს საქართველოსათვის სიკვდილი რომ დაავალა, თევდორე მღვდელს ათასი კაცის მხნეობა რომ მთაბერა. რადიკალიზმი აზროვნების ზადია, გონებისმიერი ფანატიზმია. მე თუ შენაირად არ ვაზროვნებ, - შენი მტერი არ ვარ!

ბორჯომის ბენეფიციარების კონსულტაცია

ბორჯომის საკრებულომ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ შემუშავებული ბორჯომის გენერალური გეგმის კონსულტაცია დაამტკიცა. კონსულტაციის დოკუმენტში პროექტის წინა ეტაპების შედეგებია გაანალიზებული. კვლევითი სამუშაოების საფუძველზე ჩამოყალიბებული ხედვის ალტერნატივები ქალაქის განვითარების უმთავრეს კონტურებს გვისახავს, რომლებიც, ერთი მხრივ, გადმოსცემენ ბორჯომის შესაძლებლობებს სამომავლო პერსპექტივით, მეორე მხრივ კი, ურთიერთშეჯერების ფარგლებში უზრუნველყოფენ ქალაქის, როგორც მრავალმხრივ განვითარებული მაღალი სტატუსის კურორტის სიცოცხლისუნარიანობას.



ბორჯომის საკრებულომ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ შემუშავებული ბორჯომის გენერალური გეგმის კონსულტაცია დაამტკიცა. კონსულტაციის დოკუმენტში პროექტის წინა ეტაპების შედეგებია გაანალიზებული. კვლევითი სამუშაოების საფუძველზე ჩამოყალიბებული ხედვის ალტერნატივები ქალაქის განვითარების უმთავრეს კონტურებს გვისახავს, რომლებიც, ერთი მხრივ, გადმოსცემენ ბორჯომის შესაძლებლობებს სამომავლო პერსპექტივით, მეორე მხრივ კი, ურთიერთშეჯერების ფარგლებში უზრუნველყოფენ ქალაქის, როგორც მრავალმხრივ განვითარებული მაღალი სტატუსის კურორტის სიცოცხლისუნარიანობას. დოკუმენტში წარმოდგენილი განვითარების კონსულტაცია ეფუძნება ხედვის ეტაპზე შეჯერებულ ალტერნატივებსა და მიზნებს. სიცოცხლისუნარიანობის შეფასებამ ცხადყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბორჯომისთვის თითოეული ალტერნატივის შინაარსი, რა მიზეზითაც თითოეული მათგანი აისახავს ხედვის დოკუმენტში და შექმნა მყარი საფუძველი, რათა შემდგომი საპროექტო ეტაპი ყოფილიყო ამბიციური და რეალის-

ბორჯომის საკრებულომ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ შემუშავებული ბორჯომის გენერალური გეგმის კონსულტაცია დაამტკიცა. კონსულტაციის დოკუმენტში პროექტის წინა ეტაპების შედეგებია გაანალიზებული. კვლევითი სამუშაოების საფუძველზე ჩამოყალიბებული ხედვის ალტერნატივები ქალაქის განვითარების უმთავრეს კონტურებს გვისახავს, რომლებიც, ერთი მხრივ, გადმოსცემენ ბორჯომის შესაძლებლობებს სამომავლო პერსპექტივით, მეორე მხრივ კი, ურთიერთშეჯერების ფარგლებში უზრუნველყოფენ ქალაქის, როგორც მრავალმხრივ განვითარებული მაღალი სტატუსის კურორტის სიცოცხლისუნარიანობას.

შენარჩუნებულია კონსულტაციის ეტაპზე და საპროექტო ფაზის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ძირითად საფუძველს წარმოადგენს. ეს მიზნებია: საკურორტო რესურსების ოპტიმიზაცია; ბორჯომის იერსახის გაუმჯობესება; დივერსიფიცირებული სამუშაო გარემოს ხელშეწყობა; საქალაქო ცხოვრების დონის ამაღლება; უსაფრთხოებისა და მედგობის გაზრდა. ბორჯომის გენერალური გეგმის კონსულტაციის შედეგად, დეტალურად გაეცნოთ ბმულზე: <https://shorturl.at/w0iLU>

ქვეყანაში ტვინისამხდელი სიყრუაა !

რევოლუციური სცენარი მთელი სვლით ჩაშვებულია. გარედან მართული პროცესები ემსახურება სამხრეთ კავკასიის დესტაბილიზაციას. ფსონები ძალზედ მაღალია. საერთაშორისო და რეგიონში არსებული ვითარებიდან გამომდინარე საფრთხე დიდია. დღევანდელ მოცემულობაში გლობალური დასავლეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ვიყოთ პლაცდარში მათი სტრატეგიული ინტერესების გასატარებლად რეგიონში, კერძოდ - „ცეცხლოვანი რკალის“ სტრატეგიის ცენტრალური რგოლი. ამ გზაზე შედგომა ნიშნავს - ქვეყნის დაშლას და სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. რუსთაველზე შეკრებილ გულბრყვილო ახალგაზრდებს არაფერი გაეგებათ გეოპოლიტიკის, მისი ფუნდამენტური, მუდმივი მოცემულობების შესახებ - ქართული საზოგადოების მენტალური ტრანსფორმაციის ოცდაათწლიანი ექსპერიმენტის შედეგი სახეზეა. მათი კურატორები კი მეზუთე კოლონიის კლასიკური წარმომადგენლები არიან და გააზრებული აქვთ, რას ემსახურებიან.

ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები დამატებით საფრთხეს ქმნის ქართული სახელმწიფოსთვის. არსებულ გეოპოლიტიკურ მოცემულობაში კრიტიკული ვითარების შექმნისას ქვეყნის შიდა პროცესებზე საგარეო რეგიონალური ფაქტორების გავლენა გადამწყვეტი იქნება. ეს მოცემულობა თუ არ გავიანზრეთ, ჩვენთვის ჩვეული მაქსიმალურიზმი და არტისტიზმით გადავვებებით თვითგანადგურების შეუქცევად სპირალში. ამის დაშვება არ შეიძლება! არავის ვურჩევ, წავიდეს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ!

დღეს ყველა ომი გლობალისტა ინიციატივით ხორციელდება.

ბიზნესი გლობალისტა დამფინანსებლად გვევლინება. ხალხი კი არ იცვლება!

დღეს ჭრიან და კურავენ გლობალისტები, ხოლო „თერძნი“ ამა წუთისოფლიდან შპოსავენ მათ, ვინც სულით და სხეულით მიშველნი არიან.

რას არ ხაზავს ადამიანის თვალი...
კიდევ ერთხელ დადგა ეს „ნანატრი“ დღე, დრო თუ ეპოქა?! არ აქვს მნიშვნელობა! მთავარი ის გახლავთ, რომ მაყურებელი მრავალი და ხელის გამქნევი - მწირი. სამაგიეროდ მაყურებელთა რიცხვს ემატება ხელის ჩამქნევათა რიცხვიც, რომელიც არცთუ ისე ცოტაა.

„ჰაპა - შაპი შუპშილან“ - „შაპ ლაჰაშაჰ“ - „კმარა“ ეს ის ძალა გახლავთ, რომლის მეშვეობით მოხდა ის, რაც მოხდა. ისინი ყველაფრის მკადრებელნი გახდნენ, წვევენ სახელმწიფო ქონებას, კერძო ბიზნესის მალაზიებს, საკუთარ ავტომობილებს, ბევრი შურაცხადია; წაშლილი აქვთ მესხიერებიდან ღირსება, სინდისი და მორალი; ისინი მოქმედებენ პრინციპით: „მხოლოდ ჩვენ და არავინ ჩვენ გარდა“; მათ ბანაკებში ადვილად მოექცნენ ახალგაზრდები, რომელთა „მრწამსი“ არა სამშობლო, არამედ ძალაუფლება იყო! წიაღი ამა ყველაფრისთვის უკვე მყოფია, შემზადებული, გაფხვიერებული და სასუქმოყრილიც. კიდევ ერთ დასავლურ კარნახში, „უცხო ენაში“ ფრიადი ჩაინერა საქართველომ, პირზე რძე არ შემშრალი ბალებების ხელით! კალამი „დიცტატიონ“-ის დიდი მწიფი გეგმული იყო. გადატრიალების მონაწილისთვის საუკეთესო პოლიტიკაა, გააკეთო ის პოლიტიკა, რომელიც შეეძლება ხელით.

ეს პრინციპი მუშაობს თანამედროვე პოლიტიკის ისეთ წრეში, რომლებიც წყვეტენ მცირე ქვეყნების ბედს და მათი ნეოსუვერენულ მომავალს.

აბსოლუტური სიზუსტითა და ნეოკლასიკურ სტილში გაგრძელდა პოლიტიკური თამაშების დღის წესრიგი, რამაც მიგვაღებინა ახალი (უკვე კარგად დავინყებულნი ძველი) „ნესრიგი“ სახელწოდებით: „შავი ლაქა თეთრზე“. საერთო ჯამში ყველაფერმა მიგვიყვანა არა „შავ ლაქამდე“, არამედ შავ ხვერდამდე და ვიტყვით, რომ გაუცნობიერებლად მავნათის, მივიღეთ გაფრთხილება ამ ე.წ. დროში. ბრყვივა ყურები კი კვლავ ბრყვიულია, ან სულაც მლიქვნელი და კოტრიალი ლგინში გრძელდება!

პირუთვნელობას წინ ვერაფერი დაუდგება, თუ ადამიანი ღირსებაზემკული მოღვაწის და მრწამსით არის არა მომხვეჭელი, არამედ მაღლის მადიებელი!

აკი, **ჰაპაი წარმოიქმნა** დაგვიწერა: „გამოიცვალა ქვეყანა,

ჩარხი უკულმა ტრიალებს“.

„გაქრეს ეს უამი ბარემლა, ნეტავი, რას იგვიანებს!“
ხოლო ვაჟამ ნაიბუბუნა:
„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!- მძინარიც იმას ვდუდუნებ“.

ჩემო საქართველო, მე ხომ ვიცი, ახლა როგორ ბორავ, როგორ გტკივა ეს ამბები... ორივე მხრიდან ის წყლის ჭავლიც და ის დამიზნებით ნასროლი ფეიერვერკიც ხომ შენ გხვდება... ღმერთო, დაუბრუნე გონება ადამიანებს და აპოკალიფს ყოველ ქართველს ქართველისკენ სათნო სავალი გზა...

ვერობა? ვინმემ თქვა ვეროპა არ გვირდა? ან რად გვირდა და ვისთვის გვირდა ვეროპა თუ ერთმანეთს დავზოცავთ?! ორივე მხარეს საქართველო არ არის? რომ ვნავთ და ვბუგავთ, ეს საქართველო არ არის?!

ეს ქვეყანა ვერ გაუძლებს ამდენ ჯანჯლარს!

ღმერთო, ნუ აღმართინებ ქართველს ქართველზე ხელს! ღმერთო, სიძულვილში არა, სიყვარულში გამაძლიანე საქართველო! უფალო მშვიდობა მიეც საქართველოს და ყოველ მის მაცხოვრებელს!

საზოგადოებას მოუწოდებ სიფხიზლისკენ. ნითელი ხაზების გადაკვეთის შემთხვევაში სიღრმისეული ქართველი ერი იტყვის თავის სიტყვას.

ღმერთო, დაიფარე საქართველო... და ისევ ვაჟას როვიშვილები:
„სამშობლოს მცვენლო, სადა ხართ, ერთხელ ვერ გნახეთ თვალითა“.

დღეს ჩემს გონიერ მეგობარს, ხათუნა ურჩაძეს ეწერა: „ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ქართული დაკნინებული და მეორეხარისხოვანია, რატომ გიკვიროს ეს გასაოცარი ერთგულება ჩვენი ახალგაზრდებისა ვეროპისადმი?! ყველა სასწავლებელი, რომელიც მაღალპროდუქტიულია - ვეროპულია! შობელი, რომელსაც ჯიბე არჩევანის საშუალება აძლევს, თავიანთი შვილებისთვის ვეროპულსკოლებს ანიჭებენ უპირატესობას!

დღეს ენა: ნაწყისი ჩვენი აზროვნებისა, ინგლისურით რომ ჩანაცვლად, მითია თუ რეალობა?!... ჩვენ მარად ის ხალხი ვართ, ღვიძლ დედას რომ ვუარყვოფთ და დედინაცვალზე

ვლოცულობთ! ვეროპა მხოლოდ მაგალითი უნდა იყოს ჩვენითვის, მაგალითი სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და კანონმორჩილებისა და არა ის ნიადაგი, რომელზეც უნდა ავშენდეთ! ნიადაგი ქართული უნდა იყოს, ქართული უნდა!

ჰოდა, ვისაც უთესია და უშკია ჩვენს ქვეყანაში, აგერ ჩანს! ჩვენი ძვირფასი ახალგაზრდები კი იმას ამოგვძახიან, რაც ჩავძახებთ! ჰოდა, ხომ გარკვევით ისმის მათი ხმა დაღლილ რუსთაველზე?!

ეეჰ!.. ჩვენ თითქმის ვერასოდეს ვსწავლობთ საკუთარ შეცდომებზე...“

სრულიად ვეთანხმები პოეტ **გიორგი არაბიძის** ამოთქმულს და ვარ მეც ასე... - ტკივილამდე მონატრებული ერთმანეთის მოყვარული საქართველოთი...

„ტვინისამხდელი სიყრუა ქვეყანაში... მეთამაშე, ტყუილობანა მეთამაშე, ჩემო დარდიანო საქართველო...“

ჭერზე ჭაღვით ჰკიღია სამართალი, რა მოხდებოდა, უფრო მაღლები ვყოფილიყავით. არაფერია, განაწყენებულ ძმებზე რომ გაეყარეთ შენ და მშვიდობა.

ღილაშვილობის, ჩემო დარდიანო საქართველო, როგორ გეტყობა მთელი ღამე

არ გიძინია... როგორ დაღლილხარ... შენ რომ იცოდე როგორ მინდა რამე გახარო, ჩემო დაღლილო საქართველო...“

მიდი, კავკასიონს დაეყრდენი, შხარას დაეყრდენი, თეთნულდს დაეყრდენი, შირაქის ველზე ჩამოჯექი თეთრი ღმერთივით, ელდარის ველზე ჩამოჯექი თეთრი ღმერთივით, შავი ზღვის პირას ჩამოჯექი, სანამ კაცები ძარღვებს სისხლით აივსებენ, სანამ ქალები მუცელს სიცოცხლით აივსებენ, სოხუმში წამოიქეცი, ცხინვალში წამოიქეცი, დაისვენე, დაისვენე, ჩემო დაღლილო საქართველო“

ჩემო დაღლილო საქართველო“

ნანა კვეციანი

აქსიების კვალდაკვალ

ბოლო რამდენიმე დღე ქვეყანაში განვითარებული მოვლენებითაა თითოეული ადამიანის გონება გარემოცული. ქვეყანაში არსებული არაორდინალური ვითარება გულგრილს არავის ტოვებს. არ წყდება შეურაცხმყოფელი სტატუსები თუ უზარმაზარი პოსტები ქვეყნის მთავარი მოვლენის, ე.წ. „სამშვიდობო აქციების“ ირგვლივ. თუკი ვინმე გადაწყვეტს, რომ ხელისუფლების მიმართ დადებითი თქვას პირდაპირ სოციალური ქსელის გვერდზე, „შემოუხტებიან“ და იწყებენ ლანძღვა-გინებას. ჩუმად ხარ და უკვე ძალიან კარგად დახვეწილი ფრაზებით შეგამკობენ „დუმილი დანაშაულია“ ან კიდევ „დუმილი დალატის ტოლფასია“. გარდა იმისა, რომ ძალის გამოყენებით ცდილობენ ე.წ. „მშვიდობიანი მომიტინგეები“ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას და მთავარი სამიზნე მათთვის პარლამენტის შენობაა, სადაც პროტექცია და ათას გაურკვეველი დასახელების სიტყვები ისვრიან. მომიტინგეებმა სერიოზული ზიანი მიაცყნეს რუსთაველის პროსპექტს, პარლამენტის შენობას, იქვე ახლომდებარე შენობა-ნაგებობებს, კაფეებს, მაღაზიებს... აქციის მონაწილეებმა დაუმტვრიეს და დაუღმუნეს მათ კერძო საკუთრებაში არსებული ინვენტარი. ერთია, როდესაც ზარალს ფიზიკურად მიყენებ ადამიანს და უფრო მტკივნეულია მორალური და ზნეობრივი ზიანი. ჩემ თვალს არ გამოპარვია და ალბათ, არც ბევრი ადამიანის თვალსაც ის ფაქტი, რომ როდესაც მასიური აქციები დაიწყო, პირდაპირ დაიწყეს აქციის მონაწილეებმა იერიშის მიტანა მათზე, ვისაც საკუთარი პირადი ბიზნესი აქვს. განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც საკუთარ პროდუქციას ონლაინ ყიდვიან. ეს ადამიანები კი, სწორედ ისინი არიან, რომლებიც კვირაში მიდნენ უფრო მეტად პროდუქციას ონლაინ, ინტერნეტის მეშვეობით აცნობენ საზოგადოებას და სწორედ ასე ახდენენ საკუთარი პროდუქციის რეალიზებას.

ქუთაისში მდებარე ონლაინ მაღაზიის მეპატრონის სტატუსი მინდა შემოგთავაზოთ, რომელიც მან იმ ადამიანების მისამართით დაწერა, რომლებმაც ის იმის გამო გააკრიტიკეს, თუ რატომ არ იდგა აქციებზე და როგორ გაბედა, რომ ონლაინ თავიანთი მომხმარებლებს საკუთარი პროდუქციის ყიდვას. გთავაზობთ ტექსტს უცვლელად: „ერთი კითხვა მაქვს, დღეს ვინმე აქციების ფონზე სამსახურებში არ წახვდით? მე ახლა, რომელსაც მუშაობისთვის ლაივის ჩართვა მჭირდება და ათათასობით ლარის პროდუქცია მიდევს, რატომ უნდა მეშინოდეს ლაივის ჩართვა და მუშაობა... რატომ ხდება ყოველთვის ყველა პრობლემის ფონზე ონლაინ გაყიდვების გადავლა? მოლბები დაკლებს? ბაზრობები დაკლებს? სამსახურებში არ დადიხართ? თვის ბოლოს ხელფასებს ხომ აიღებთ? და ჩვენ რა ვქნათ? რამდენ ხანს მედის პროდუქცია? ვინ მომიხმარებთ ვალდებულებების გადახდაში და შვილებისთვის საკვების ყიდვაში, გამეცით ვინმემ ამაზე არგუმენტირებული პასუხი!!! რატომ არ მაქვს მუშაობის უფლება და თქვენ ყველა პრობლემის ფონზე? - სწორედ ეს ტექსტი გამოაქვეყნა ონლაინ მაღაზიის მეპატრონემ მაკო ყაველაშვილმა მაღაზიის გვერდზე. მხოლოდ მაკო ყაველაშვილი არ გახდა ე.წ. მშვიდობიანი მომიტინგეების მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. ასევე სალანდლავი კომენტარებით აავსეს მაკოს მსგავსად კერძო ბიზნესში ჩართული უამრავი ადამიანი, რაც ძალზედ სამწუხაროა. მოკლედ, ადამიანები რომლებიც აქციებზე არიან, პირდაპირ, დაუფარავად აცხადებენ და ბრალს დებენ ადამიანებს, რომ შეწყვიტონ საკუთარი ბიზნესის



კეთება, სრულ იზოლაციაში მოექცნენ და არ მოახდინონ პროდუქციის რეალიზება. თუმცა, ამ დროს გაიხედეთ და სოციალურ ქსელში საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილი სახეები სახალხოდ დებენ ანგარიშებს, რათა ემიგრანტებმა დაუორციონონ თანხები, რომ შემდგომ გამოიყენონ ე.წ. „მშვიდობიანი“ მომიტინგეთა დასახმარებლად. ამ დროს კი ყველა კარგად ვხედავთ, რომ დახმარებაში პირველ რიგში იგულისხმება აქციის მონაწილეთა საკვებით უზრუნველყოფა და დამიჯერეთ, მთელი დღე ისედაც ქუჩაში, ტყუილად უმუშევრად მყოფი და ბევრი ემიგრანტი დედისა და მამის ხელში შემყურეს, აქციებზე დგომა რატომაც ურჩევია? დაიხ, რა ჯობია, იქ ცხელ-ცხელი, ემიგრანტების ფულით ნაყიდი თბილი ულუფის მირთმევა? რამდენი კადრი შემხვდა მე პირადად, როდესაც არაფხიზელ მდგომარეობაში, აქციაზე მდგომი მოქალაქეები და მათი ლიდერები არიან ასახული და აქციაზე იმყოფებიან თუ სადღესასწაულო ზეიმზე ალბათ ვერც გაუგიათ, რას აპროტესტებენ და ვის ებრძვიან არც ეს იცინა. სწორედ აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, თუკი მანდ მომიტინგეთა ყოფნა-არყოფნაც საკვების არსებობაზე გადის, როგორ ბედავთ, რომ ადამიანებს, რომლებსაც თქვენთვის არაფერი ნაურთმევიათ და საკუთარი შრომით აკეთებენ ბიზნესს, დარწმუნებულებიც ხართ, იცით კიდევ, რომ თქვენ გარშემო რამდენს ბანკიდან კრედიტი აქვს აღებული, ვალდებულნი არიან, ყოველთვიურად იხადონ, რატომ უნდა მოუწოდებდეთ, რომ თქვენ გვერდით იდგნენ და საკუთარ ვალდებულებებზე არ იფიქრონ? თქვენ გადაუხდით მათ ვალდებულებებს?

დაიხ, ქართველი კაცი ხომ ყოველთვის ერთმანეთის ჭამით იყო მაძლიარე და არც ეს კონკრეტული შემთხვევაა გამონაკლისი. აბა, მე თუ საქართველოს ბედს მტკიცად ვაძლევდებ, ჩემ ტკივილს თავისუფლების მოედანზე ვაპროტესტებ, ვილატამ ონლაინ სივრცეებიდან რომ იზრუნოს საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე, არ მიმართოს სახელმწიფოს ხელგამოწვდილმა, მოდი და შენ მარჩინეო, ამაზეც გაბოროტებულები ვარდებით და იწყებთ ლანძღვა-გინებას, მათ მოლაღებლებს უწოდებთ. მჯერა, რომ ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანას დედა ღვთისა არ განირაგს. უფლის მაღლით ყველაფერი კარგად იქნება და ვინც დღეს ერთმანეთს პოლიტიკური ნიშნით არჩევთ, მომავალში ძალიან შეგრცხვებათ ერთმანეთის.

P.S. გთხოვთ, სიტყვას მოუფრთხილდით, რომელიც ესოდენ ასე ძვირფასია, რადგანაც სიტყვა არის თავად ღმერთი, ამიტომაც ღმერთს მოუფრთხილდით თქვენში.

ნანო შელიძე

აი ეს არის ჩვეი პოზისია და ვაგაყო!!!

შემომიერთდით!!!
ოსმალიძემა საუკუნეების მანძილზე ვერ წავგართვეს სარწმუნოება!
რუსებმა ვერ გამოგვგლოჯეს ენა და მამული!!!
მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენივე ნებით დავთმეთ ადამიანობა და ერთმანეთს დავერიეთ!
სირცხვილი საზოგადოებას!
სირცხვილი ჩვენ, ვინც ერთმანეთს ვებრძვით!
რად გვირდა რუსეთის ან ამერიკის ტყვია, როცა თავად მოუწყვეთ ომი თანამემამულეს!
საქმე გავუმარტოვებ მტერს და მსოფლიო კიდევ ერთხელ გავაოცეთ ჩვენი პატარა ადამიანობით!
სირცხვილი! სირცხვილი!
ფულზე გაყიდული სული - რუსის ჯარზე, ამერიკის ცინიზმზე და ვეროპის გარყვნილებაზე ბევრად უფრო სამიშია!
ჩვენ, ადამიანები ვართ დამნაშავე ჩვენს უგუნურებაში და მიზეზებს ყოველთვის სხვაგან ვეძებთ!!!
ოჯახებმა დაჭამეს ერთმანეთი და მეგობრებმა ქვის სრულად დაუწყეს ერთმანეთის პოლიტიკური შეხედულებების გამო!
ამაზრუნია უყურო, როგორ გლუჯავ ერთმანეთს ადამიანები, ჯერ არავის რომ არაფერი მოუცია იმისთვის!!!!
დამშვიდდით და გაიხსენეთ ვისი გორისა ხართ და გაახილეთ თვალები და შეხედეთ ვის ლანძლავთ, გასალანძლი სხვა ხალხო. ის ვინც ამით ხარობს ახლა!
სხვისი დამონება რა საჭიროა, როცა მე ჩემს ქვეყანაში საკუთარი მოძმე მამონებს!
პოლიტიკური მხარე არ მაქვს, არ ვერევი, არ მაინტერესებს არაფერი, როცა ადამიანს ენება საქმე და რას ქვიაო, რას ქვია, არ გაქვს მხარე არჩეულიო?! უნდა გქონდესო და თან აუცილებლად ვეროპაო!!!!
როგორ ავირჩიო მხარე, როცა ორივე მხარეს ქართველი დგას? რად მინდა მხარე, თუ ჩემსავე მოძმეს უნდა ვესროლო!!!! არ მჭირდება არავინ და არაფერი, ვინც ჩემი სამშობლოს და ჩემი ერის სიყვარულს დამამბობინებს! და თუ ამ სიტყვებს ვამბობ, მაშინ როგორღა ვიყო ვინმესიანი? მე თქვენიანი ვარ, ადამიანებო და არ მაინტერესებს შენი პოლიტიკური აზრი! მე შენ მიყვარხარ, ისეთი როგორიც ხარ, შენი ფიქრებით, შეხედულებებით და გადაწყვეტილებებით! და ვინც გინდა ის იყავი შენ, ქოცი თუ ნაცი? ჯერ ჩემი თანამემამულე ხარ! ჩემი მოძმე! ჩემი სამშობლოს შვილი და მერე დანარჩენი რაც ნაკლებად მნიშვნელოვანია!!!!
გუშინ სხვა მთავრობა იყო, დღეს სხვა და ხვალ სხვა იქნება, თქვენსავე მოყვანილს, თქვენვე ავდებთ და ასე გრძელდება დაუსრულებლად, მთავრობა იცვლება და შეხედულებებიც იცვლება!
ერთი რამ რაც არასოდეს შეიცვლება, არის ის რომ ჩვენ ვიყავით! ვართ! და ვიქნები ქართველები! და დროა გავმრავლდეთ!!!
ნუ ესვრი ქვას! ნუ დაარტყავ! ნუ გალანძლავ!
არამედ გვიყვარდეს ერთმანეთი ქართველნი!!!!
სიყვარულით, **სოფიო შუბიძე**
ქართველი - მართლმადიდებელი.

ტრადიციული შაქითხვა!



ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ისმის ტრადიციული კითხვა - რას ისურვებდით ბორჯომში სამომავლოდ? პასუხები ფაქტობრივად ასახავს იმ რეალობას, რაც ჩვენს ქალაქს აკლია და რის დანაკლისსაც განიცდის. ასე იყო ამჯერადაც, როდესაც ბორჯომელებს აღნიშნულ თემაზე გავესაუბრეთ.

ბორჯომში, რომ ახალგაზრდული კლუბი არ გვაქვს, ხშირად მოისმენთ, აქვე გეტყვიან, რომ ახალგაზრდებს სურთ ისინი მაკდონალდსისა და სასაიმოვნო გარემოსათვის კაფეს გახსნას.

გიორგი გოგოლაძემ გვითხრა, რომ ბორჯომში რესტორნების სიმრავლე ნამდვილად გვაქვს, მაგრამ კაფე არ არის, რომ წიგნის წასაკითხად დაჯდეთ ფინჯან ყავასა და ჩაისთან ერთად, ან მეგობრებმა სასაიმოვნო ამბებზე ვისაუბროთ.

გიორგის სურვილმა თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში არსებული ლიტერატურული კაფე გამახსენა, რომელსაც ნებისმიერ დროს შეგეძლო მყუდრო კაფეში გეკითხა წიგნი ან სულაც გემუშავა კომპიუტერით და სასაიმოვნოდ გაგეტარებინა წუთები. აქ, ახალგაზრდებს შეეძლოთ მუშაობა, წიგნის კითხვა, ხმადაბლა საუბარი. არცერთი მაგიდა ერთმანეთს ხელს არ უშლიდა და პირიქით, გარემოს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა. ამ ლიტერატურულ კაფეში ვერავის ვერ ხახავდით ხმაშლითა და მოსაუბრეს.

ახალგაზრდა ქალბატონმა ნინო გოგოლაძემ კითხვაზე გვიპასუხა, - რომ ბორჯომში მრავლად გვაქვს პროდუქტების მაღაზრია, მაგრამ არ გვაქვს სავაჭრო ცენტრი, რომელიც, როგორც დედაქალაქში, იმუშავებს საღამოს 10-სათამდე.

სამსახურში დატვირთული დღის შემდეგ, საღამოს საათებში, ვერცერთ სავაჭრო ცენტრში ვერ შეხვალ, რომ შეიძინო პროდუქტის გარდა პირადი მოხმარებისათვის სხვა საჭირო ნივთი, ყველა მაღაზრია იკეტება. ამ დროს სამსახური რეალობის წინაშე დგები. იძულებული ხდები, დაელოდო თავისუფალ დროს და საუბრე გადაადო დასვენების დღისათვის.

ბორჯომში არ გვაქვს კინოთეატრი, რომელიც იფუნქციონირებდა და საინტერესო კინორეჟინებს შესთავაზებდა ახალგაზრდებს. ცენტრალურ-ისტორიულ პარკში არსებულ კინოთეატრში დღემდე არ არის შესაბამისი პირობები და ასე წლებია ელოდება ფუნქციის დაბრუნებას.

ქალაქში არ გვაქვს საგამოფენო და სამკითხველო დარბაზები, ბიბლიოთეკა დღემდე ჩარხისწყალზეა და დიდი იმედით ელოდება მოსახლეობა მისთვის განკუთვნილი შენობის მშენებლობის დაწყებას. საბავშვო ბიბლიოთეკა მხოლოდ ბავშვებზეა გათვლილი და ზრდასრული ბორჯომელები შესაბამისად ვერ სარგებლობენ აქ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული სერვისით.

განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში არ გვაქვს გასართობი ატრაქციონები.

ბორჯომელი მძღოლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ქალაქში ავტომობილებისათვის არ მოიძებნება კეთილმოწყობილი ავტომობილექსპლექტის სერვისი. ბორჯომიდან ხაშურსა და ახალციხეში უნევთ მომსახურების მისაღებად სიარული, ისევე როგორც მობილურისა და კომპიუტერის დაზიანების შემთხვევის დროს.

იხა იანვარაშვილი

ბინვეთი კონკურსზე!

„ბორჯომის ზღაპრული ფერები“



ამ დღეებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილება, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია და საზოგადოება „ბორჯომელები“ აწყობენ გამოფენას დღეებით „ბორჯომის ზღაპრული ფერები“.

მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულებს ვთხოვთ კულტურის განყოფილებაში ან რედაქციაში წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები (ფოტო, ფერწერული ტილო და ა.შ.) მიძღვნილი დღეების თემაზე.

გამოფენა მოეწყობა კულტურისა და ხელოვნების ცენტრში.

სპეციალური ყიური საუკეთესო ნამუშევრების ავტორებს წაახალისებს.

საინფორმაციო ჯგუფი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია გიწვევთ, ჩაერთოთ საახალწლო კამპანიაში!!!

„მორთე შენი სივრცე გამორჩეულად!“ გამოგვიგზავნეთ საახალწლოდ მორთული თქვენი შენობის ფასადისა და ეზოს ფოტოები (შესაძლებელია რამდენიმე ფოტოს გამოგზავნა) 20 დეკემბრის 23:00 ჩათვლით ბორჯომის მუნიციპალიტეტის ელექტრონული ფოსტის borjomimunicipality@gmail.com საშუალებით. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ორგანიზაციებს, ასევე კერძო პირებს.

21 დეკემბრიდან 28 დეკემბრის ჩათვლით ფოტოები განთავსდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ Facebook გვერდზე. 28 დეკემბერს, 18:00-ზე გამოვლინდება სამი გამარჯვებული ფოტო, რომლებსაც ექნებათ ყველაზე მეტი მონახება. თითო მონაწილე სუბიექტი მიიღებს მხოლოდ ერთ ჯილდოს.

გამარჯვებულებს გადაეცემათ სიმბოლური საახალწლო საჩუქარი 31 დეკემბრის საზეიმო ღონისძიებაზე! ერთად შევიტანოთ წვლილი ჩვენი ქალაქის გალამაზებაში!



ქალკაცი

ბარბარე შონია - მუხრანის ჩემპიონი



იგი ევროპის პირველობაზე მიიღო, როცა მესამე ადგილი დაიკავა.

ამ დღეებში ჩატარდა პირველი ქართველი დიდოსტატის - ბუხუტი გურგენიძის ტრადიციული საჭადრაკო მემორიალი, რომელშიც მთელი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ასაკის გოგონები და ვაჟები მონაწილეობდნენ. გოგონებს შორის იყო ბორჯომის სასპორტო სკოლის მოსწავლე, 11 წლის ბარბარე შონია.

ბარბარემ მთელი ტურნირი წარმატებით ჩაატარა. ექვსი ტურის შემდეგ ექვსი ქულა შექონდა! ბოლო მეშვიდე ტურში თავის მდევარს ხვედრობდა. ჩემპიონობისათვის მას ყაიმიც ჰყოლინდა. ამ პარტიაშიც ბარბარე მოგებაზე თამაშობდა, მაგრამ, რადგან მეტოქემ ყაიმი შესთავაზა, ეს ყაიმი მიიღო. ეს ყაიმი ხომ ჩემპიონობის განაღდებას ნიშნავდა!

ბარბარემ თავის მონაგარს კიდევ ერთი, 26-ე გამარჯვება შემატა! მოპოვებული აქვს 43 მედალი, აქედან 26 ოქროსია (ე.ი. პირველი ადგილოსნობის). ბრინჯაოს მედლებს შორის კი მისთვის (და არა მარტო მისთვის) ერთი განსაკუთრებით ძვირფასია, რადგან

უხანგი ჯანგირაშვილი, მწვრთნელი.

ხედავ

შავ-თეთრი ფოტოების მემკვიდრეობა

ყოველდღიურად მილიონობით ფოტოს იღებს მოქალაქეების უმრავლესობა და სოციალურ ქსელში აქტიურად აქვეყნებს, თუმცა ბოლო პერიოდში მათ დაბეჭდვებზე აღარც კი ფიქრობენ. ალბათ, წლების წინ დაბეჭდილი შავ-თეთრი და ფერადი ფოტოების აღბრუნება იყო ოჯახში. სურათების ნახვისას ბევრი უცნობი და ბევრი ნაცნობი სახეც სასაიმოვნოდ იმზირება და ვაჟის თავისებურ ხიბლს, ცხოვრების ფრაგმენტებს გავაცნობს.

ბავშვობაში ხშირად მშობლების ალბომს გადმოვიღებდი და საათობით ვათვალიერებდი მათ ფოტოებს, შემდეგ ვცდილობდი ზუსტად იმ თანმიმდევრობით დამეზრუნებინა უკან, როგორც იყო განლაგებული, მაგრამ მაინც ირეოდნენ. ვთვლი, რომ ამ შავ-თეთრ ფოტოებს თავისი ისტორია აქვს. ოჯახის კულტურული მემკვიდრეობაა, მაშინ როდესაც ვერც ფოტოს და ვერც ვიდეოს იღებდნენ ასე მარტივად და თითქოს შავ-თეთრი ცხოვრებაც შექონდათ, მაგრამ ფოტოებისთვის იმ გაჩერებული ნამისთვის, ბოლო თითქმის იღებდნენ, რათა სამახსოვროდ დარჩენოდათ მნიშვნელოვანი კადრები მათი ცხოვრებიდან. ახლა, ეს ფოტოები უხილავ ადგილზე დევს ოჯახებში, სადაც გარდემობში და მხანგალებს ისევ ელიან. ვერ იცლიან, არ იცლიან. პლანშეტებსა და მობილურებით ასრულებენ უმეტეს შემთხვევაში საღამოს. არც კი გაიფიქრებენ გულში, ოჯახის ძველი შავ-თეთრი ფოტოები დაათვალიერონ შვილებთან, ბებია-ბაბუებთან ერთად. ნახონ ფოტოებზე მათივე ასაკის მშობლები, ბებია-ბაბუებისგან მომსმინონ საინტერესო ამბები. როდის გადაიღო ფოტო? ვინ არიან ფოტოზე? ნახონ და მოსმინონ, ანკარა მტკვარზე, რომელიც დღისბანია ანკარა აღარაა. აქ, როგორ რეცხავდნენ ტანსაცმელს; დააკვირდნენ, როგორ ჩამდგარან წყლის სიღრმეში უბნის ქალბატონები და ღიმილით უყურებენ ფოტოგრაფს, როდის გადაუღებს სურათს.


ისტორიული ფოტოების მემკვიდრეობა ჩვენი გაზეთიც. დაბეჭდილი შავ-თეთრი ფოტოები ფოტოკორესპონდენტის ნუგზარ ქარელის ფოტორეპორაჟებში ინახება. წლებია, ასე ერთგულად, მზარდად მობილურად, არასდროს გადაუღია გვერდით ფოტოაპარატი. ზოგჯერ დაბეჭდილ ფერად ფოტოებს საშუალო მაგიდაზე თითოეულ თანამშრომელს სიურპრიზის სახით გვახვედრებს ხოლმე.

ასეთი იშვიათობა გახდა დაბეჭდილი ფოტოები ჩვენს ირგვლივ. მობილურმა ფოტოაპარატმა ჩაანაცვლა და ფოტოების დაბეჭდვის სურვილიც გააქრო. მოგონებდა ხომ თავად სოციალური ქსელი გთავაზობს 10 წლის წინ გადაღებულ ფოტო და ვიდეო შეტყობინებას. ამ დროს დაფიქრებულხარ, რომ შენს მიერ ატვირთული ფოტოები უბრალოდ ციფრული მტკვრია და ერთ დღეს შეიძლება ყველა ფოტო და ვიდეო გაქრეს, ან რასაც შენ აქვეყნებ, იმან შეიძლება შენზე მომავალში იქონიოს გავლენა, ამიტომ სანამ ფოტოს ატვირთავთ, ვინმეს გაუგზავნით, სანამ პირად ინფორმაციას გამოაქვეყნებ, ინტერნეტში რაიმე ინფორმაციას მოიძიებ, პოსტს მოიზონებ, კარგად დაფიქრდით, თუ როგორ კვალს ტოვებ? უმჯობესია რისკების შესახებ იცოდეთ, რამდენად სუფთაა შენი ციფრული კვალ. ფოტოს გადაღება, შემდეგ ინტერნეტ სივრცეში ატვირთვა არ ჰგავს უწყინარ დაბეჭდილ შავ-თეთრ ან ფერად ფოტოებს, რომელსაც ან საერთოდ აღარ ვებეჭდვით ან ძალიან იშვიათად.

დაფიქრებულხარ, ბოლოს როდის დაბეჭდე შენი გადაღებული ფოტო?! - მე 11 წლის წინ.

დროა, სარჩებით გამოვიფინოთ დაბეჭდილი ფოტოები ოჯახებში და სამსახურებში. (ორიგინალურ, გაფორმებულ სარჩებში დაბეჭდილი ფოტოებისთვის ყველა საკანცელარიო მაღაზრიაში შეიძენთ.) მოუწყეთ ერთმანეთს სიურპრიზი, დაბეჭდე ფოტო და გაილაშქრეთ გარემო, რომელიც ყველაზე ბედნიერ ნამებს შეგახსენებთ.

იხა იანვარაშვილი



ჩვენს მკითხველებს!

დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „ბორჯომზე“ 2025 წლისათვის. შეგახსენებთ, რომ გაზეთი „ბორჯომი“ ერთგულად და ულაღობით დგას თქვენს სამსახურში. არის თქვენი ერთგული მრჩეველი, მეგობარი და გულმემატკივარი.

გაზეთი მკითხველის გარეშე არ არსებობს, ამიტომ მოგიწოდებთ, არ დარჩეთ გაზეთის გარეშე, რომელშიც ექვეყნება ობიექტური და სანდო ინფორმაციები, თუ გინდათ, გაზეთი მინარსობრივად უფრო საინტერესო გახდეს, მოგვწერეთ თქვენი შეხედულებები რაიონში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე. გაზეთში გამოქვეყნებულ ნერილების ავ-კარგზე, რომელი მოგეწონათ, რომელმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი ინტერესი, მომავალში რომელ თემაზე გავამახვილოთ ყურადღება. თქვენს რჩევებზე შევნიშნავთ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზეთ „ბორჯომი“ პრესის გამაგრებლები ბინაზე მოგართმევენ. მთელი წლით გაზეთის გამოწერის ღირებულება 20 ლარია. უსაშველოდ გაძვირებული პოლიგრაფიული მომსახურების მიუხედავად, რედაქციას არ გაუზრდია გაზეთის ღირებულება. განათავსეთ თქვენი რეკლამები, განცხადებები, მილოცვები, ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ემსახურება თქვენი კომპანიის წინსვლას.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ პრესის გამაგრებლებთან და რედაქციაში ჩვენი მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ. 22-29-65; 555 236 975.

მუხრანში, გააოცდით. იყილეთ. იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი“, რათა იყოთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდამხმარებელი. გაზეთი „ბორჯომის“ რედაქციაში.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რედაქციის მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №24.04.59. რედაქციაში შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელიც ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდა. მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20. WWW.colargroup.ge borjomipress9@gmail.com რედაქტორი: პალკია ლომიძე კორექტორი: ნანა კავლიაშვილი

